საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დოლის პური



დოლის პური ახალციხის წითელი დოლის პური (Triticum aestivum var. ferrigineum)

დოლის პური, საქართველოში საუკუნეთა მანძილზე ხალხური სელექციით შექმნილი რბილი ხორბლის საშემოდგომო ჯიშ-პოპულაცია.

დ. პ. ჰქვია მხოლოდ წითელმარცვლიან, თეთრ და წითელთავთავიან ფხიან ჯიშ-პოპულაციებს. სელექცია მიმდინარეობდა სხვადასხვა გარემო პირობებში.

შეიქმნა დ. პ. აგროეკოტიპების შემდეგი ჯიშები: ახალციხის, ქართლის, თიანეთის, კახური, კორბოულის და სხვ. ქართლის დ. პ-იდან მიღებულ იქნა სელექციური ჯიშები: დ. პ. 35–4, დ. პ. 18–46, ძალისურა 35–3.

დ. პ. გამოირჩევა კარგი ადაპტაციის უნარით, სტაბილური მოსავლიანობით, გამოიყენება მაღალი ხარისხის პურის დასამზადებლად, არის ძვირფასი საწყისი სასელექციო მასალა.

პ. ნასყიდაშვილი